ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება №127

ქ. ბოლნისი

2015 წლის 18 თებერვალი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" და „ე.ვ" ქვეპუნქტების, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №76 განკარგულების თანახმად,

ვბრძანებ:

1.ბოლნისის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფიზიკურ გარემოში არსებული ბარიერების გამოვლენის, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, სამეწარმეო უნარების განვითარების მხარდაჭერის, კულტურისა და სპორტის სფეროში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას გამგებლის სათათბირო ორგანო - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საბჭოს თავმჯდომარე:

დავით შერაზადიშვილი-ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;

საბჭოს წევრები:

ეროდი უგრეხელიძე- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;

კონსტანტინე კორძაძე-ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ გობეჯიშვილი-ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

კობა ჟღენტი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

გიორგი რეხვიაშვილი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

პაატა გოგშელიძე- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

2. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

გამგებელი: გოგი მეშველიანი